

გინდარტებიანი ბარათი

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს საბაჟო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები გაირობებულია იმ მოსაზრებით, რომ იმპორტიორებისათვის უფრო მარტივი და გასაგები გახდეს ცალკეული საბაჟო რეჟიმების არსის ფორმულირებები და შესაბამის საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის დაბეგვრისა და სათანადო საგარანტიო უზრუნველყოფის შექმნიზმები. კერძოდ ეს ეხება რეიმპორტის, ტრანზიტის, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, უბაჟო ვაჭრობის, ექსპორტის, რეექსპორტის, საქონლის განადგურება, უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ რეჟიმებში მოქცევის დროს, საგადასახადო შეღავათების გამოყენებისა და საგარანტიო უზრუნველყოფის შექმნიზმებში სიცხადის შეტანას.

მოქმედი საბაჟო კოდექსი ასევე არ განსაზღვრავს, რომ რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისას ამ საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმით გატანის დროს ექსპორტიორისათვის დაბრუნებული აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადის შესაბამისი თანხები უნდა მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ საკითხის განმარტების მიზნით კანონპროექტში შემოთავაზებულია საბაჟო კოდექსის მე-14 მუხლში ცალკე ქვეპუნქტის დამატება.

კანონპროექტში შემოთავაზებულია კოდექსის 33-ე მუხლის ახალი რედაქციით (ორ ნაწილად) ჩამოყალიბება, რითაც ნათელი ხდება, რომ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი პირობითად, თავისუფლდება საბაჟო, აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადებისაგან, მაგრამ მხოლოდ გადასახადების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფის წარდგენის საფუძველზე.

საანალოგიური სიყბადე არის შეტანილი საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დროს საქონლის შემოტანის შემთხვევაშიც.

გარადა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საბაჟო საწყობში შენახვის პროცედურაზე სრულფასოვანი კონტროლის განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად შეწყობს ნავთობპროდუქტო შემოსავლების ზრდას, კერძოდ, საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული ნავთობპროდუქტების განთავსება მხოლოდ დასტურული ტიპის საწყობში და შესაბამისი პირობებისა და კრიტერიუმების

გამკაცრება წარმოადგენს ნეკონპროექტების საბაზო კონტროლის განხორციელებას აუცილებელ პირობას.

მოქმედი საბაზო კოდექსის 52-ე მუხლის სათაური შემოთავაზებულია ახალი რედაქციით, რომელიც უფრო მართებულია შეცვლინა.

პროექტის მიხედვით, შემოთავაზებულია კოდექსში დამატებების შეტანა, რომელიც, მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს საქართველოს საბაზო ტერიტორიაზე რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საქონლის შემოტანისას საბაზო ორგანოში საგარანტიო უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის აუცილებლობას.

წარმოდგენილ კანონპროექტში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობით ლიცენზიის გაცემისათვის გადახდილი მოსაკრებელი არ წარმოადგენს საბაზო მოსაკრებელს.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევას.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.